აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 16

15/09/2024 ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ახალი ერთობა გვარამია მელია“ და მისი წარმომადგენლის რეგისტრაციაში გატარების შესახებ“ უსკოს თავმჯდომარის 2024 წლის 31 აგვისტოს №14 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ახალი ერთობა გვარამია მელია“ და მისი წარმომადგენლის რეგისტრაციაში გატარების შესახებ“ უსკოს თავმჯდომარის 2024 წლის 31 აგვისტოს №14 განკარგულების და საარჩევნო სუბიექტის თავმჯდომარის და თანათავმჯდომარის მიერ 2024 წლის 14 სექტემბრის №090/4/2024 (უსკოში რეგისტრაციის №01-26/84) განცხადებების საფუძველზე, **ვადგენ:**

1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ახალი ერთობა გვარამია მელია“ და მისი წარმომადგენლის რეგისტრაციაში გატარების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2024 წლის 31 აგვისტოს №14 განკარგულებაში შეტანილი იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები.

ა) განკარგულების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „კოალიცია ცვლილებისთვის გვარამია მელია გირჩი დროა“ და მისი წარმომადგენლის რეგისტრაციაში გატარების შესახებ“

ბ) განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**1.** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრაციაში გატარდეს მოქალაქეთა პოლიტიკური

გაერთიანება **„კოალიცია ცვლილებისთვის გვარამია მელია გირჩი დროა“** და მისი წარმომადგენელი **მირდატ ქამადაძე.**“.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პარმენ ჯალაღონია
თავმჯდომარე